

No 20.494
Date 24.10.2018



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

სკრინინგის განცხადება

შპს „RMG Gold“-ი გეგმავს ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობას. საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, დაგეგმილი ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასთან დაკავშირებით, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. მოკლე ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ - 1 ეგზემპლარი (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია);
2. ნავთობპროდუქტების საცავის ადგილმდებარეობის სიტუაციური ნახაზი.

პატივისცემით,
შპს „RMG Gold“-ის
აღმასრულებელი დირექტორი
ჯონდო შუბითიძე



მოკლე ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

ნავთობპროდუქტების საცავი წარმოადგენს მობილური რეზერვუარებით აღჭურვილ ავტოგასამართ სადგურს, რომლის მოწყობა დადგეგმილია დმანისის მუნიციპალიტეტში შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ფართობში, საყდრისის გროვული გამოტუტვის უბნის ტერიტორიაზე სადაც განთავსებულია მოქმედი ავტოგასამართი სადგური, ანალოგიური ტიპის მობილური რეზერვუარით.

შპს „RMG Gold“-ი (ს/კ 225359947) იურიდიული მისამართი: თბილისი, ალექსიძის ქ. N1;

დაგეგმილი საქმიანობის ადგილდებარეობის GPS კოორდინატები: X-447221; Y-4581569;

სამუშაო დღეების რაოდენობა: 365 დღე;

სამუშაო საათების რაოდენობა: დღე-ღამეში 24 საათი;

უახლოესი დასახლებული პუნქტი: დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილიდან დაშორებულია 2.7 კილომეტრით. (იხ. სურათი 1).

მობილური რეზერვუარი წარმოადგენს დადგენილი წესით რეგისტრირებულ, სატვირთო ავტომობილის სპეციალიზებულ მისაბმელს ცისტერნის ტიპის ძარათი, რომელიც განკუთვნილია საწვავის გადასაადგილებლად.

ავტო გასამართი სადგურის ტერიტორიაზე განლაგდება 3 ერთეული მობილური რეზერვუარი, აქედან: 2 ერთეული - საპროექტო, თითო 22 ტ მოცულობით და ერთი არსებული 35 ტ მოცულობით.

საერთო ჯამში ავტოგასამართი სადგური განკუთვნილი იქნება 79 ტონა დიზელის საწვავის შესანახად და მოხმარებისთვის.

რეზერვუარები დამზადებულია ფურცლოვანი ფოლადისაგან, რომლის გარეთა ზედაპირი დაფარულია ანტიკოროზიული საღებავით, გააჩნია ლუქი საწვავის შევსებისთვის, ლუქთან გადასასაადგილებელი მოედანი, სააერაციო მილი, სასუნთქი სარქველი, მანომეტრი და საწვავის გაცემისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვა. ნავთობპროდუქტების საცავის გენერალური გეგმა იხილეთ ნახაზზე 1.


სურათი 1. ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ადგილი



ნახაზი 1. გუნგემა



საყდრისის უბანი. დიზელგასამართი სადგური.



ავტო გასამართი სადგურის მოწყობისთვის გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:

მობილური ცისტერნების გასაჩერებლად მობეტონდება ტერიტორია და აღიჭურვება დაღვრის საწინააღმდეგო ბორტებით.

საწვავის გასაცემად მოეწყობა 2 სვეტი, თითო ე.წ „პისტოლეტით“, რომლის ირგვლივ ასევე მოეწყობა დაღვრის ლოკალიზების საშუალებები (იხ. სურათი 2).

სურათი 2. ილუსტრაცია



ოპერირებისას უნებლიედ დაღვრილი საწვავი მოხვდება ზუმფში, რომელიც ამოღებული იქნება და გამოყენებული იქნება წარმოებაში, ხოლო სხვა ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას.

საცავი საწვავს მიიღებს ავტოცისტერნების საშუალებით. ავტო გასამართი სადგურის საერთო წლიური წარმადობა საშუალოდ იქნება 108 000 ტ დიზელის საწვავი.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობაზე. საწარმოს ხელმძღვანელობა გაგმავს 2 ადამიანის დასაქმებას. უბანზე წყალმომარაგება ხდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ცენტრალური ქსელიდან.

ტერიტორიაზე წარმოქნილი ადმინისტრაციული და დამხმარე ბლოკების (მობილური, საველე ტიპის კონტეინერები, სანიტარული კვანძი და სხვა.) სამეურნეო-საყოფაცხოვრებო (საკანალიზაციო) წყლების გაწმენდის მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია ბიოლოგიური

გაწმენდი ნაგებობა. სამეურნეო ფეკალური წყლები სასადილოდან და სანიტარული კვანძებიდან საკანალიზაციო ქსელით გაყვანილია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდ დანადგარამდე.

ტერიტორიაზე არსებული სანიტარული კვანძების, რომელთა დაერთება ვერ ხდება საკანალიზაციო სისტემაზე და შესაბამისად გამწმენდ ნაგებობაში ჩაშვება, მიმდინარეობს ჩამდინარე წყლების შეგროვება წყალგაუმტარ ამოსაწმენდ მოცულობაში, საიდანაც პერიოდულად გატანილი იქნება საასენიზაციო მანქანებით კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარში ნავთობპროდუქტების მიღებისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა არ გადააჭარბებს ზღვ-ის დასაშვებ ნორმას საწარმოდან როგორც 500 მეტრიან რადიუსში, ასევე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის მონტაჟი, ამასთან ტერიტორია მნიშვნელოვნადაა დაშორებული დასახლებული პუნქტთან.

სიახლოვეს არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

ავტოგასამართი სადგურში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გამოვლენა მოსალოდნელი არ არის, ასევე ზემოქმედება არ იქნება მიწის ნაყოფიერ ფენაზე, რადგან ტერიტორია წარმოადგენს დამუშავებული ქანების დატკეპნილ ზედაპირს.

საქმიანობის გამხორციელების ადგილი დაშორებული უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტიდან („კვირაცხოვლის ღელე“) 70 მეტრის მანძილით.

საცავის მოწყობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა ინერტული ნარჩენების სახით, რომელიც განთავსდება ფუჭი ქანების სანაყაროზე, ხოლო ოპერირებისას წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ ფუნქციონირებს.

უბანი აღიჭურვება შესაბამისი ხანძრსაწინააღმდეგო საშუალებებით და შრომის უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნებით.

დანართი 2. ნავთობპროდუქტების საცავის ადგილმდებარეობის სიტუაციური ნახაზი



მოკლე ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

ნავთობპროდუქტების საცავი წარმოადგენს მობილური რეზერვუარებით აღჭურვილ ავტოგასამართ სადგურს, რომლის მოწყობა დადგეგმილია დმანისის მუნიციპალიტეტში შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ფართობში, საყდრისის გროვული გამოტუტვის უბნის ტერიტორიაზე სადაც განთავსებულია მოქმედი ავტოგასამართი სადგური, ანალოგიური ტიპის მობილური რეზერვუარით.

შპს „RMG Gold“-ი (ს/კ 225359947) იურიდიული მისამართი: თბილისი, ალექსიძის ქ. N1;

დაგეგმილი საქმიანობის ადგილდებარეობის GPS კოორდინატები: X-447221; Y-4581569;

სამუშაო დღეების რაოდენობა: 365 დღე;

სამუშაო საათების რაოდენობა: დღე-ღამეში 24 საათი;

უახლოესი დასახლებული პუნქტი: დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილიდან დაშორებულია 2.7 კილომეტრით. (იხ. სურათი 1).

მობილური რეზერვუარი წარმოადგენს დადგენილი წესით რეგისტრირებულ, სატვირთო ავტომობილის სპეციალიზებულ მისაბმელს ცისტერნის ტიპის ძარათი, რომელიც განკუთვნილია საწვავის გადასაადგილებლად.

ავტო გასამართი სადგურის ტერიტორიაზე განლაგდება 3 ერთეული მობილური რეზერვუარი, აქედან: 2 ერთეული - საპროექტო, თითო 22 ტ მოცულობით და ერთი არსებული 35 ტ მოცულობით.

საერთო ჯამში ავტოგასამართი სადგური განკუთვნილი იქნება 79 ტონა დიზელის საწვავის შესანახად და მოხმარებისთვის.

რეზერვუარები დამზადებულია ფურცლოვანი ფოლადისაგან, რომლის გარეთა ზედაპირი დაფარულია ანტიკოროზიული საღებავით, გააჩნია ლუქი საწვავის შევსებისთვის, ლუქთან გადასასაადგილებელი მოედანი, სააერაციო მილი, სასუნთქი სარქველი, მანომეტრი და საწვავის გაცემისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვა. ნავთობპროდუქტების საცავის გენერალური გეგმა იხილეთ ნახაზზე 1.


სურათი 1. ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების ადგილი



ნახაზი 1. გუნგემა



საყდრისის უბანი. დიზელგასამართი სადგური.



ავტო გასამართი სადგურის მოწყობისთვის გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოები:

მობილური ცისტერნების გასაჩერებლად მობეტონდება ტერიტორია და აღიჭურვება დაღვრის საწინააღმდეგო ბორტებით.

საწვავის გასაცემად მოეწყობა 2 სვეტი, თითო ე.წ „პისტოლეტით“, რომლის ირგვლივ ასევე მოეწყობა დაღვრის ლოკალიზების საშუალებები (იხ. სურათი 2).

სურათი 2. ილუსტრაცია



ოპერირებისას უნებლიედ დაღვრილი საწვავი მოხვდება ზუმფში, რომელიც ამოღებული იქნება და გამოყენებული იქნება წარმოებაში, ხოლო სხვა ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული შლამი განთავსდება კონტეინერში და შემდგომ უტილიზაციაზე გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას.

საცავი საწვავს მიიღებს ავტოცისტერნების საშუალებით. ავტო გასამართი სადგურის საერთო წლიური წარმადობა საშუალოდ იქნება 108 000 ტ დიზელის საწვავი.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობაზე. საწარმოს ხელმძღვანელობა გაგმავს 2 ადამიანის დასაქმებას. უბანზე წყალმომარაგება ხდება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ცენტრალური ქსელიდან.

ტერიტორიაზე წარმოქნილი ადმინისტრაციული და დამხმარე ბლოკების (მობილური, საველე ტიპის კონტეინერები, სანიტარული კვანძი და სხვა.) სამეურნეო-საყოფაცხოვრებო (საკანალიზაციო) წყლების გაწმენდის მიზნით ტერიტორიაზე მოწყობილია ბიოლოგიური

გაწმენდი ნაგებობა. სამეურნეო ფეკალური წყლები სასადილოდან და სანიტარული კვანძებიდან საკანალიზაციო ქსელით გაყვანილია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდ დანადგარამდე.

ტერიტორიაზე არსებული სანიტარული კვანძების, რომელთა დაერთება ვერ ხდება საკანალიზაციო სისტემაზე და შესაბამისად გამწმენდ ნაგებობაში ჩაშვება, მიმდინარეობს ჩამდინარე წყლების შეგროვება წყალგაუმტარ ამოსაწმენდ მოცულობაში, საიდანაც პერიოდულად გატანილი იქნება საასენიზაციო მანქანებით კონტრაქტორი კომპანიის მიერ.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარში ნავთობპროდუქტების მიღებისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა არ გადააჭარბებს ზღვ-ის დასაშვებ ნორმას საწარმოდან როგორც 500 მეტრიან რადიუსში, ასევე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან ავტოგასამართი სადგურის სპეციფიკიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის მონტაჟი, ამასთან ტერიტორია მნიშვნელოვნადაა დაშორებული დასახლებული პუნქტთან.

სიახლოვეს არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

ავტოგასამართი სადგურში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გამოვლენა მოსალოდნელი არ არის, ასევე ზემოქმედება არ იქნება მიწის ნაყოფიერ ფენაზე, რადგან ტერიტორია წარმოადგენს დამუშავებული ქანების დატკეპნილ ზედაპირს.

საქმიანობის გამხორციელების ადგილი დაშორებული უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტიდან („კვირაცხოვლის ღელე“) 70 მეტრის მანძილით.

საცავის მოწყობისას მოსალოდნელია უმნიშვნელო რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა ინერტული ნარჩენების სახით, რომელიც განთავსდება ფუჭი ქანების სანაყაროზე, ხოლო ოპერირებისას წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ავტოგასამართი სადგური არ ფუნქციონირებს.

უბანი აღიჭურვება შესაბამისი ხანძრსაწინააღმდეგო საშუალებებით და შრომის უსაფრთხოების გამაფრთხილებელი ნიშნებით.

დანართი 2. ნავთობპროდუქტების საცავის ადგილმდებარეობის სიტუაციური ნახაზი



